უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 41

20 19 წ. „08“ 11

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისათვის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404987332) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური ენა	დიპლომირებული სტომატოლოგი	300

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 8 ნოემბრის №20 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი